01/11/2019
გამოცემა #6

საქართველოს ნავსადგურებში "ერთი ფანჯრის პრინციპის" პროექტის დანერგვა

2019 წლის 24 სექტემბერს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ორგანიზებით ჩატარდა სემინარი საქართველოს ნავსადგურებში ერთი ფანჯრის პრინციპის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით. პროექტი მნიშვნელოვანია რამდენადაც ის გულისხმობს რამდენიმე სახელმწიფო და კერძო უწყებების ერთ სივრცეში გაერთიანებას, საპორტო სექტორში ციფრული სამთავრობო სერვისების შეთავაზებას, ბიუროკრატიული ბარიერების და ასევე არასაჭირო დოკუმენტაციისგან გემის დამუშავების პროცესის გათავისუფლებას, რაც ხელს შეუწყობს ნავსადგურების ეფექტურ მუშაობას, გემების მოცდის დროის შემცირებას და ტვირთნაკადების ზრდას.

პროექტის განხორციელების პირველ, მოკვლევის ეტაპს, აშშ-ს საელჩო $100 000-ით აფინანსებს. 30 ოქტომბერს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში გაიმართა პირველი სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია DevGate-სა და საზღვაო სფეროში დაინტერესებულ წარმომადგენლებს შორის, სადაც განიხილებოდა პროექტის სამომავლო სახე და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

მეზღვაურთა დასაქმების პორტალი

მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს გაიმართა ოფიციალური პრეზენტაცია და ექსპლოატაციაში ჩაეშვა მეზღვაურთა დასაქმების ხელშემწყობი ვებ პორტალი. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ერთ წელზე მეტი მუშაობდა ქართველი მეზღვაურების დასაქმების პორტალის შექმნაზე. ეს არის ერთიანი პლატფორმა, სადაც დამსაქმებლებსა და დასაქმების მსურველებს აქვთ საშუალება დაამყარონ პირდაპირი, გამჭვირვალე კომუნიკაცია ერთმანეთთან.



www.georgianseafarers.ge - მეზღვაურებს საშუალებას აძლევს განათავსონ თავიანთი CV ელექტრონულად, და მისცენ წვდომა დამსაქმებლებს იხილონ მათი გამოცდილება. თავის მხრივ, დამსაქმებლებს (საკრუინგო კომპანიებს, გემთმფლობელებს) შესაძლებლობა ექნებათ ატვირთონ ვაკანსიები და პორტალის საშუალებით შეარჩიონ სასურველი კვალიფიკაციის მეზღვაურები. აღნიშნულ პორტალზე ინტეგრირებულია ასევე სააგენტოს ონლაინ სერვისები მეზღვაურებისათვის
ვებ-გვერდის პრეზენტაციიდან დღემდე უკვე რეგისტრირებულია 492 მეზღვაური და 20 საკრუინგო კომპანია, ატვირთულია 472 CV და განთავსებულია 46 ვაკანსია.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლების ვიზიტი ბელგიაში

მიმდინარე წლის 10-12 სექტემბერს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და ბელგიაში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლებმა გამართეს რამდენიმე შეხვედრა:

- ბელგიის მობილობისა და საჯარო სამსახურების დეპარტამენტთან, რომელმაც გამოთქვა სურვილი და მზაობა გაუწიონ საქართველოს დახმარება ანტვერპენის პორტის საგანმანათლებლო ცენტრში (APEC) საქართველოსთვის კვოტების გამოყოფის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საზღვაო სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას;
- იურიდიულ კომპანიასთან - Norton Rose Fulbright რომლის უმსხვილეს მიმართულებას საზღვაო დაზღვევა წარმოადგენს. კომპანიამ გამოხატა ინტერესი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ინიცირებული პროექტების მიმართ და მზაობა მხარი დაუჭიროს საქართველოში საზღვაო დაზღვევის პროდუქტის დანერგვას;
- და ასევე საფინანსო ინსტიტუტ BNP PARIBAS-თან, სადაც ქართული მხარის მიერ მიწოდებულ იქნა ინფორმაცია, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ინიცირებული ახალი პროექტების თაობაზე, მათ შორის საზღვაო ფინანსებთან დაკავშირებით.

გემთმშენებელ კომპანია Damen-თან შეხვედრა

2019 წლის იანვარში, დავოსში გამართულ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე, საქართველოს პრემიერ- მინისტრსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდგომ, საქართველოში ინვესტირების ინტერესი გამოხატა საერთაშორისო გემთმშენებელმა კომპანია Damen-მა. მოგვიანებით გაიმართა შეხვედრა კომპანია Damen-ის სათაო ოფისში, ნიდერლანდების სამეფოში სადაც განხილული იყო საქართველოს მხარის მიერ მომზადებული საინვესტიციო შეთავაზება და დაიგეგმა ნოემბრის თვეში Damen-ის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში საინვ ბაზრის სიღმისეულად შესწავლისა და კონკრეტული წინადადებების განხილვის მიზნით.

Columbia Shipmanagement-ის საკრუიზო გემებზე დასაქმება

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და „კოლუმბია შიპმენეჯმენტ“-ს შორის მიღწეული მოლაპარაკებების შედეგად კოპანიის კუთვნილ საკრუიზო გემებზე 2019-2020 წლებში ასობით საქართველოს მოქალაქე დასაქმდება. პირველ ეტაპზე 50 ადამიანის დასაქმება იგეგმება, აქედან 20 გოგონას. შერჩეული 20 გოგონასთვის გემზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საბაზისო წვრთნისა და პერსობალის გადამზადების უფასო კურსებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო უზრუნველყოფს. მათი ხელფასი 800-დან 1200 ევრომდე განისაზღვრება. დაიგეგმა საინვ ბაზრის სიღმისეულად შესწავლისა და კონკრეტული წინადადებების განხილვის მიზნით.